




დანართი VI

ადამიანური რესურსებისა და
კანცელარიის მართვის
სისტემის მიმოხილვა

თბილისი
04/28/2011



შინაარსი

შესავალი	4
თავი 1. ზოგადი ტექნიკური მოთხოვნები ელ. მართვის სისტემის მიმართ	6
1.1. ზოგადი მოთხოვნები და კრიტერიუმები სისტემის მიმართ	6
1.2. ფუნქციონალური მოთხოვნები	7
1.3. მომხმარებელთა და ჯგუფების მართვა	7
1.4. სისტემის მომხმარებელთა გრაფიკული ინტერფეისის (GUI) ზოგადი მოთხოვნები	7
თავი 2. ელ. მართვის სისტემის მოდულები	9
2.1. მოთხოვნები ადამიანური რესურსების (კადრების) მართვის მოდულის მიმართ	14
2.1.1. კადრების მართვის მოდულში ორგანიზაციის სტრუქტურის აგება	14
2.1.2. კადრების მართვის მოდულის ძირითადი მოქმედებები	15
2.1.3. თანამშრომლის ბარათი	16
2.1.4. თანამდებობრივი ერთეულების მახასიათებლები	17
2.1.5. ახალი თანამშრომლის მიღება (მხოლოდ კანდიდატების სიის მართვა)	18
2.2. თანამშრომელთა დასწრების და საშვების აღრიცხვის მოდული	18
2.3. მოთხოვნები სასწავლო ცენტრის მართვის მოდულისადმი	19
2.4. თანამშრომელთა მიერ ნამუშევარი დროის აღრიცხვის მოდული (მხოლოდ აუდიტორებისთვის)	20
2.5. სპეციალური კითხვარების შედგენა (არასავალდებულო)	23
2.6. ელ. კანცელარიისა და არქივის ზოგადი მიმოხილვა	23
2.6.1. მოთხოვნები ელ. კანცელარიის მოდულის მიმართ	23
2.6.2. ელექტრონული კანცელარიის არქივი	26
2.6.3. აუდიტთა დასკვნების არქივი	27
2.7. სახელფასო პროგრამა (სტანდარტული ფუნქციონალი)	28
2.8. სისტემის ანგარიშების (რეპორტინგის) მომზადების მოდული	29
2.9. სისტემის ადმინისტრირების მოდული	30
დანართები	30
თანამშრომლის პირადი მონაცემები	31
ინფორმაცია თანამდებობრივ ერთეულის შესახებ	32
ვაკანსიის შემთხვევაში პოზიციაზე პრეტენდენტისადმი მოთხოვნები	33


ინფორმაცია დოკუმენტის შესახებ	35
კადრების აღრიცხვის არსებული პროგრამის ინტერფეისი	37
კანცელარიის პროგრამის ინტერფეისი	38
კანცელარიის 2008 წლის პროგრამის ინტერფეისი	39

შესავალი

კონტროლის პალატა არის სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანო, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აუდიტი. კონტროლის პალატის საქმიანობას არეგულირებს „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონი, ხოლო საქართველოს კონტროლის პალატის რეგლამენტი (საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანება N 32/42) განსაზღვრავს საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის წესს, სტრუქტურას, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს, აუდიტის მომზადებისა და ჩატარების ვადებსა და წესებს, დავების განმხილველი საბჭოს უფლებამოსილების განხორციელების წესს, საქმისწარმოებისა და შიდა საქმიანობის სხვა ორგანიზაციულ საკითხებს.

საქართველოს კონტროლის პალატას ხელმძღვანელობს საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე, ხოლო შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებში კონტროლის პალატების თავმჯდომარეებს.

კონტროლის პალატის ორგანიზაციული რგოლები




სურ. 1

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში კონტროლის პალატების თავმჯდომარეთა წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ავტონომიურ რესპუბლიკებში კონტროლის პალატების თავმჯდომარეების მოადგილეებს.

უწყების ადმინისტრაციული სტრუქტურა დადგენილია საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის N 32/42 ბრძანების მე-2 თავის შესაბამისად (N 32/42 2009 წლის 12 მარტი ქ. თბილისი საქართველოს კონტროლის პალატის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ), სადაც გაწერილია ფუნქცია-მოვალეობები, ხოლო ცენტრალური აპარატის სტრუქტურული დაქვემდებარება მოცემულია დიაგრამის სახით (სურ. 2).

საქართველოს კონტროლის პალატის ორგანიზაცია და სტრუქტურა



სურ. 2

კონტროლის პალატას 400-მდე საშტატო ერთეული აქვს, აქედან 300-მდე აქტიური თანამშრომელია.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად მიმდინარეობს კონტროლის პალატის ახალი საქმისწარმოებისა და მეთოდოლოგიის დანერგვა. ახალ სტილზე გადასვლისათვის, შვედური აუდიტორული კომპანიის დახმარებით და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით შემუშავდა ახალი მეთოდოლოგია; ამჟამად მიმდინარეობს თანამშრომელთა გადამზადება.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა კადრების და კანცელარიის არსებული პროგრამების განახლება, რომელთა ფუნქციონალობა ვერ პასუხობს ვერანაირ თანამედროვე მოთხოვნებს. ამჟამად კონტროლის პალატა იყენებს ორ დამოუკიდებელ პროგრამას:

- კადრების პროგრამა ე.წ. „PEMS“ ელექტრონული სისტემა (დანართი 6);
- კანცელარიის პროგრამა, რომელიც შექმნილია 2003 წელს (დანართი 7) ლოკალურად იყენებს მონაცემთა ბაზას TPS ფაილების სახით. ასევე 2008 წელს იყო მცდელობა შექმნილიყო პროგრამის ახალი ვერსია (დანართი 8), მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო პროგრამა 2009 წელს დაკონსერვდა და ორგანიზაცია დაუბრუნდა ისევ ძველ პროგრამას. შესაბამისად 2008 წლის მონაცემები დარჩა MS SQL ბაზაში.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, სასურველია შესაძლებლობის ფარგლებში განხორციელდეს ძველი მონაცემების მიგრაცია ახალ სისტემაში.


თავი 1. ზოგადი ტექნიკური მოთხოვნები ელ. მართვის სისტემის მიმართ

1.1. ზოგადი მოთხოვნები და კრიტერიუმები სისტემის მიმართ

ელექტრონული მართვის სისტემის ზოგადი მოთხოვნები და კრიტერიუმებია:

- მოქნილი და დინამიური სისტემა – სისტემა ისე უნდა იყოს აგებული, რომ დანერგვის შემდეგ მასში მიმდინარე ცვლილების შეტანა არ იწვევდეს სისტემის ძირეულ გარდაქმნას, ასევე ცვლილებების გატარება არ უნდა აფერხებდეს ბიზნეს პროცესს;
- სამომავლოდ ახალი მოდულის ან ფუნქციონალობის დამატების შესაძლებლობა. სისტემა უნდა იძლეოდეს ახალი ფუნქციონალობის ადვილად დამატების საშუალებას (Modular Design), მისი სტრუქტურული ცვლილების გარეშე;
- სისტემის ვერსიების კონტროლი და განახლების ავტომატური ფუნქცია;
- ცალკეული ბიზნეს პროცესის აღმწერი მოდულები ისე უნდა ფუნქციონირებდნენ, რომ არ ხდებოდეს ოპერაციების დუბლირება და მონაცემთა ბაზის ჩანაწერების გამეორება;
- მონაცემთა დამუშავების მაღალი საიმედოობა და წარმადობა;
- პროგრამული უზრუნველყოფა უნდა იყენებდეს Microsoft SQL Server მონაცემთა ბაზას ასევე მომხმარებლების მართვის შესაძლებლობას Microsoft Active Directory;
- სისტემას უნდა შეეძლოს ინფორმაციის გაცვლა ამჟამად არსებულ საბუღალტრო სისტემასთან „ORIS ბუღალტერი“;
- ინფორმაციის უსაფრთხოების მაღალი ხარისხი;
- სისტემაში ნებისმიერი ქმედების დაფიქსირება (ლოგირება); თუ ვის მიერ და რა დროს განხორციელდა ესა თუ ის ქმედება.

სასურველია ელექტრონული მართვის სისტემის იყოს მინიმუმ სამდონიანი არქიტექტურის (სურ. 3).



სურ. 3

1.2. ფუნქციონალური მოთხოვნები

- სისტემის მიერ გენერირებულ ბლანკზე (დოკუმენტზე) უნიკალური ნომერის და ასევე შტრიხკოდის დატანის შესაძლებლობა;
- სამომავლოდ ელ. ხელის მოწერის და დოკუმენტის დაშიფვრის (პაროლით ან სხვა საშუალებით) შესაძლებლობა;
- კადრების ფურცლის, პერსონალის ბარათის, ორგანიზაციის სტრუქტურის, ასევე ერთჯერადი საშვების ბეჭდვის ფუნქცია;
- შაბლონების და საგამოცდო (შეფასების) კითხვარების გენერირების მოქნილი, დინამიური ხელსაწყო; ასევე დაგენერირებული კითხვარების პასუხების კითხვის და შედეგების დათვლის შესაძლებლობა;
- ანგარიშების ამოღების მოქნილი და დინამიური სისტემა (სასურველია ასევე გრაფიკის სახით ვიზუალიზაცია);
- შეტყობინებების სისტემა - SMS-ით ან/და ელ. ფოსტით საშუალებით;
- სისტემას სასურველია გააჩნდეს შიდა კომუნიკაციის საშუალება (**Internal messaging system**);
- დოკუმენტების სანახი (არქივი).

1.3. მომხმარებელთა და ჯგუფების მართვა

- სისტემას უნდა გააჩნდეს მომხმარებლების დამატების, ჯგუფებში გაერთიანებისა და ჯგუფების შექმნის საშუალება (User and Group Management tools), ასევე მოდულებზე წვდომისა და მოქმედებების განხორციელების უფლებების განაწილების ხელსაწყო (Permission Management System).
- სისტემაში უნდა არსებობდეს მინიმუმ სამი კატეგორიის მომხმარებელი:
 - **ადმინისტრატორი** (Super User - განუსაზღვრელი უფლების მქონე მომხმარებელი, რომელიც ანაწილებს სხვებზე უფლებებს, ქმნის ორგანიზაციის საბაზისო სტრუქტურის მახასიათებლებს და ა.შ.)
 - **მენეჯერი** (გადაწყვეტილებების მიმღები და ბიზნეს პროცესის აღმმრავი, ასევე ვიზირებისა და ბლოკირების უფლებით);
 - **ოპერატორი**, მონაცემების შემყვანი, ფორმების შემავსებელი;
 - ჩვეულებრივი **მომხმარებელი**, ანუ თანამშრომელი.
- მომხმარებელთა რეგისტრაცია, მათი ჯგუფებში გაწევრიანება არ უნდა გამორიცხავდეს ინდივიდუალურ გამონაკლისებს.
- ერთიანად უნდა განისაზღვროს უსაფრთხოების პოლიტიკა და მისი გათვალისწინებით მოხდეს სისტემის ადმინისტრირება.

1.4. სისტემის მომხმარებელთა გრაფიკული ინტერფეისის (GUI) ზოგადი მოთხოვნები

სისტემაში რეგისტრირებულ ყველა მომხმარებელს უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური გარემო, სადაც თავისი კომპეტენციის და უფლებების ფარგლებში განხორციელებს მოქმედებებს (ე.წ. Self-service). რეგისტრაციის შემდეგ სამუშაო დაფაზე სასურველია დაფიქსირდეს ახალი დავალებები, როგორც პირადი ასევე ჯგუფური. ასევე მიმდინარე და შესრულებული დავალებები.

- სისტემის მომხმარებლისათვის უნდა შეიქმნას მაქსიმალურად კომფორტული და მარტივი სამუშაო გარემო;
- მომხმარებელს უნდა ჰქონდეს სისტემაში მარტივად ნავიგაციის საშუალება;

- დაცული უნდა იყოს მომხმარებლის ინტერფეისის ერგონომიკული მოთხოვნები (მაგ. კონტრასტი ტექსტსა და ფონს შორის. ფონი არ უნდა იპყრობდეს ყურადღებას. ტექსტი უნდა იყოს სტატიკური და არ უნდა იცვლიდეს ფერს ან ზომას. ფონტის ზომა უნდა იყოს ფორმისა და მასზე არსებული კომპონენტების შესაბამისი და კითხვადი. დაცული უნდა იყოს ტერმინების ერთიანი სტანდარტი. იშვითად უნდა იყოს გამოყენებული ტექსტური ფორმატირების საშუალებები, როგორცაა - bold, italic, underline და Strikerthrough);
- ინტერფეისის ტექსტური რედაქტორი უნდა შეიცავდეს ფორმატირების ყველა სტანდარტულ საშუალებას, რაც ტექსტის გაფორმებისთვის არის საჭირო;
- აუცილებელი და პრიორიტეტული ენა უნდა იყოს ქართული;
- სისტემა უნდა მუშაობდეს საერთაშორისო სტანდარტის უნიკოდის შრიფტით;
- მნიშვნელოვანი ოპერაციების როგორც ვიზუალური ასევე შინარსობრივი დიფერენცირება და დახასიათება;
- ცნობადი და ადვილად დასამახსოვრებელი ინტერფეისი, რომელიც ძალიან არ განსხვავდება გავრცელებული სტანდარტებისგან;
- გამაფრთხილებელი და დიალოგური შეტყობინებების ტექსტი უნდა იყოს თავაზიანი და გასაგები;
- პროგრამას აუცილებლად უნდა ახლდეს მომხმარებლის სახელმძღვანელო, სასურველია სისტემაში ჩაშენებული ან ცალკე დოკუმენტად (User Manual);
- აუცილებელია წარმოდგენილი იყოს სისტემის და მონაცემთა ბაზების ტექნიკური დოკუმენტაცია.

თავი 2. ელ. მართვის სისტემის მოდულები


ელექტრონული მართვის სისტემაში ძირითად როლს უნდა წარმოადგენდეს თანამშრომელი, რომლის შესახებ რეგისტრირდება ინფორმაცია, როგორც მანუალურად, ასევე ავტომატურად, მოდულებს შორის ინფორმაციის გაცვლის საშუალებით, შესაბამისი სერვისების საშუალებით.

ყველა თანამშრომელი სისტემაში რეგისტრირდება ინდივიდუალურად და ხედავს თავის სამუშაო გარემოს, სისტემაზე დაშვებები უნდა იყოს განსაზღვრული და რეგულირდებოდეს შიდა მოხმარების ნორმატიული აქტებით.

კონტროლის პალატის ახალი ელექტრონული მართვის სისტემა უნდა მოიცავდეს შემდეგ მოდულებს:

N	მოდულები	მოკლე აღწერა
1.	<p>ადამიანური რესურსების (კადრების) მართვის სისტემას შემდეგი მოდულებით</p> <p>a. ორგანიზაციის სტრუქტურისა და თანამშრომელთა მართვის (პიროვნების ბარათი) მოდულს</p> <p>b. ახალი თანამშრომელის დაქირავების მოდულს</p>	<p>თანამშრომლის ბარათის და თანამშრომლებზე ან თანამდებობაზე განხორციელებული მოქმედებების აღრიცხვა</p> <p>ორგანიზაციის სტრუქტურის აგება, ცვლილება;</p> <p>თანამშრომლის დანიშვნა, გადანიშვნა, გათავისუფლება, თანამდებობების შეთავსება; თანამშრომლებზე ინფორმაციის მუდმივი განახლება.</p> <p>ვაკანსიის გამოცხადება, გადაწყვეტილების ასახვა</p>
2.	თანამშრომლების დასწრების და საშვების აღრიცხვის მოდულს	არსებული დაშვების სისტემასთან ინტეგრაცია და საშვების აღრიცხვა
3.	სასწავლო ცენტრის მართვის, ატესტაციებისა და ტრენინგების მოდულს	შეხვედრების რეზერვირება და დასწრების და შედეგების ასახვა
4.	თანამშრომელთა მიერ დახარჯული სამუშაო დროის აღრიცხვის მოდულს	მხოლოდ აუდიტების მიერ შესავსები ფორმების შევსება
5.	სპეციალური კითხვარების შედგენა	არასავალდებულო
6.	შემოსული, გასული და შიდა წერილების აღრიცხვის (კანცელარიის) მოდულს	შემოსული გასული წერილების რეესტრი და მარშუტის და რეზოლუციების ისტორია
7.	სახელფასო პროგრამას, სტანდარტული მინიმალური ფუნქციონალით	მხოლოდ სახელფასო სიის მომზადება (სტანდარტული ფუნქციონალი)
8.	პერიოდული და მიმდინარე ანგარიშების (რეპორტების) მომზადებისა და ბეჭდვის მოდულს	წინასწარ მომზადებული შაბლონების მიხედვით ანგარიშების მომზადება
9.	სისტემის ადმინისტრირების მოდული	სისტემის მართვა მომხმარებლების წვდომის ადმინპანელი

სისტემის მოდულების ზოგადი დიაგრამა



სურ. 4

აუცილებელია სისტემაში ერთხელ დარეგისტრირებით მოხდეს ყველა ზემოთ აღნიშნულ მოდულიდან ინფორმაციის მიღება.

მოდულის საშუალებით თითოეულმა მომხმარებელმა, თანამდებობრივი ჯგუფის (დონის) შესაბამისად უნდა მიიღოს ინფორმაცია და ასევე შეასრულოს მოქმედებები. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია ინფორმაციული ბლოკები, რომელიც უნდა იყოს სისტემაში თანამშრომელთა უფლებებისა და დაშვების მიხედვით:

N	ჩამონათვალი	შენიშვნა
კადრების მართვის მოდულიდან		
1.	პირადი მონაცემები, სამსახურეობრივი და პირადი საკონტაქტო ინფორმაცია	ცვლილებების განხორციელება მხოლოდ კადრების თანამშრომლების მიერ
2.	პიროვნების სამსახურეობრივი პოზიცია და შრომითი ისტორია	როგორც ორგანიზაციის შიგნით ასევე წარსული გამოცდილება
3.	განათლება და გავლილი ტრეინინგები	როგორც ორგანიზაციის შიგნით მიღებული ასევე წარსულში გავლილი
4.	პიროვნებაზე განხორციელებული ადმინისტრაციული ღონისძიებები და მისი არსებობის შემთხვევაში ვადის გასვლის თარიღი	ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბრძანების გამოსვლის დღიდან
5.	გამოყენებული და დარჩენილი შვებულებების რაოდენობა	გადამოწმების უფლება ყველა თანამშრომელს
6.	გამოსაცდელი ვადის ან ხელშეკრულების ვადის გასვლა	ყველა თანამშრომელს
7.	წოდების მომატების თარიღი	მხოლოდ კადრების თანამშრომლებს
8.	თანამშრომლის დაბადების დღის მოახლოება	ყველა თანამშრომელს
სასწავლო ცენტრის მოდულიდან		
9.	დანიშნული ატესტაციის ან ტრეინინგის გამოცხადების თარიღები და პირობები	ყველა თანამშრომელს
10.	დანიშნული ატესტაციების ან ტრეინინგების დასწრება	არ დასწრების შემთხვევაში მიზეზის ნახვა
11.	დანიშნული ატესტაციების ან ტრეინინგების გავლის შემთხვევაში შეფასების ნახვა	ყველა თანამშრომელს
თანამშრომლების დასწრების და საშვების აღრიცხვის მოდულიდან		
12.	სამსახურში გამოცხადების აღრიცხვა	ავტომატურად აისახოს სისტემაში
13.	თანამშრომლის მდებარეობა მიმდინარე დღეს	(შვებულება, მივლინება, არასაკმატოდ გაცდენა, ავადმყოფობა და ა.შ.)
14.	გაცემული საშვები და შემოსული სტუმრები	მხოლოდ იმ თანამშრომლებს, ვისზეც გაკეთდება დაშვების და ნახვის უფლება. თანამშრომლებს

თანამშრომელთა სამუშაო დროის აღრიცხვის მოდული		
15.	დროის აღრიცხვის (დროის უწყისი) ფორმები	ყველა აუდიტებისთვის პოზიციის შესაბამისი ფორმა
16.	შეფასების შედეგები	მხოლოდ მენეჯმენტისთვის და განსაზღვრულ თანამშრომლებს
ელ. კანცელარიის და არქივის მართვის მოდულიდან		
17.	მიღებული და შესრულებული წერილები (ვადების კონტროლით)	ყველა მხოლოდ განსაზღვრულ თანამშრომლებს
18.	მიღებული წერილის ისტორია და მასთან დაკავშირებული სხვა წერილების ნახვა	ყველა მხოლოდ განსაზღვრულ თანამშრომლებს
19.	ახალი წერილის შექმნა და გადაგზავნა (მაგ. განცხადება შევბუღებაზე ან სამსახურეობრივი ბარათი)	ყველა მხოლოდ განსაზღვრულ თანამშრომლებს
20.	გამოსული ბრძანებები და აქტები, ამიტომ გასამიჯნია, როგორც უწყების შიგნით ასევე სახელმწიფო მნიშვნელობის	მხოლოდ განსაზღვრულ თანამშრომლებს
21.	აქტები 2 სახის არის ერთი აუდიტორული და მეორე მიმდინარე (ჩვეულებრივი).	მხოლოდ განსაზღვრულ თანამშრომლებს
ახალი თანამშრომლის დაქირავების მოდულიდან		
22.	ვაკანსიის გამოსხადება	მხოლოდ კადრების თანამშრომლებს
23.	შედეგების ასახვა სისტემაში	მხოლოდ კადრების თანამშრომლებს
სახელფასო პროგრამიდან, სტანდარტული მინიმალური ფუნქციონალით		
24.	ცვლილებების შეტანა,	მხოლოდ კადრების თანამშრომლებს
25.	რეპორტების ამოღება, ექსპორტ-იმპორტი.	კადრების და ბუღალტერიის თანამშრომლები
ანგარიშების მართვის მოდულიდან		
26.	სტანდარტული ანგარიშები	თანამდებობრივი პოზიციის შესაბამისად
27.	არასტანდარტული ანგარიშები	მხოლოდ განსაზღვრულ თანამშრომლებს
სისტემის ადმინისტრირების მოდულიდან		
28.	სისტემაში მომხმარებლების უფლებების კონტროლი, ჯგუფების შექმნა, მოდულებთან დაშვებისა და უფლებების განსაზღვრა და ა.შ.	მხოლოდ ადმინისტრატორი

29.	სისტემაში ცვლილებების განხორციელებაკომპანიასთან შეთანხმებით	მხოლოდ ადმინისტრატორი
-----	---	-----------------------

ქვემოთ მოცემულია მოთხოვნები, თვითეული მოდულის მიმართ. თუმცა ეს არ გამორიცხავს მოდულების გაერთიანებას. აღნიშნული დიაგრამა მხოლოდ გამოყოფს იმ ფუნქციონალობებს, რომელთა არსებობაც აუცილებელია წარმოდგენილი იყოს შემოთავაზებულ გადაწყვეტილებაში.

2.1. მოთხოვნები ადამიანური რესურსების (კადრების) მართვის მოდულის მიმართ
 ადამიანური რესურსების მართვის მოდულის ძირითადი მიზანია, შეიქმნას თითოეულ თანამშრომელზე, ორგანიზაციის სტრუქტურულ ერთეულზე ელექტრონული მონაცემთა რეესტრი. მოწესრიგდეს და განაწილდეს ინფორმაცია ორგანიზაციისათვის საჭირო მიზნების შესაბამისად, რათა შემდგომში უფრო ეფექტურად მოხდეს ე.წ. "ადამიანური კაპიტალის" სწორად განაწილება და მართვა.

2.1.1. კადრების მართვის მოდულში ორგანიზაციის სტრუქტურის აგება
 კადრების მართვის მოდული საშუალებას უნდა აძლევდეს მომხმარებლებს იოლად ააგონ ორგანიზაციის შიდა სტრუქტურა (მარტივი და გასაგები ინტერფეისი), განსაზღვრონ იერარქია და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულება. მოდულში მოცემული უნდა იყოს ისეთი ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც, დებულების შესაბამისად, წინასწარ აღიწერება როგორც სტრუქტურული ერთეული, როგორცაა დეპარტამენტი, აპარატი, სამმართველო და ა.შ. ასევე თანამდებობა და მასთან დაკავშირებული თანამდებობრივი პირის ფუნქცია-მოვალეობები.

სასურველია თითოეული ერთეულის დამატებისას სისტემამ თავად შესთავაზოს მომხმარებელს არჩევანი, თუ რომელი დაამატოს – სტრუქტურული თუ თანამდებობრივი ერთეული. კავშირი სტრუქტურულ და თანამდებობრივ ერთეულებს შორის უნდა მოხდეს ე.წ. "მშობელი-შვილის" პრინციპით.

ძირითადი მოქმედებები, რომელიც უნდა შესრულდეს ხის აგებისას:

- ახალი საშტატო ერთეულის დამატება;
- საშტატო ერთეულზე სახელწოდების შეცვლა;
- საშტატო ერთეულის გაუქმება;
- თანამშრომლის დანიშვნა;
- თანამშრომლის სხვა თანამდებობაზე გადაყვანა;
- თანამშრომლის უფლებამოსილების დროებით შეჩერება;
- თანამდებობის პირის უფლებამოსილების შეთავსება;
- თანამშრომლის გათავისუფლება.

სტრუქტურულ ხეში ვიზუალურად უნდა ჩანდეს ვაკანსიები, ასევე თანამშრომლის არ ყოფნის შემთხვევაში მოვალეობის შემსრულებლები.

აუცილებელია მკაცრად გაკონტროლდეს სტრუქტურული ხის დათვალიერების უფლება. ყოველი თანამდებობრივ პოზიციას უნდა შეესაბამებდეს ხის შესაბამისი იერარქიული დონე და მხოლოდ მისადმი დაქვემდებარებული ერთეულების დათვალიერების საშუალებას უნდა იძლეოდეს.

კადრების მართვის მოდულის ერთიან ხეში ასევე უნდა აისახოს აქარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების კონტროლის პალატის სტრუქტურული ერთეულებიც.

სისტემის სტრუქტურული ხე საშუალებას უნდა იძლეოდეს ორგანიზაციაში სამტატო ერთეულების, ვაკანსიების, შეთავსებებისა და თანამშრომლების რაოდენობის გამიჯვნისა და მხოლოდ აქტიური პოზიციების დათვლის; ავტომატურად დააგენერიროს სტრუქტურული და თანამდებობრივი ერთეულების სრული დასახელებები.

სტრუქტურული ხის აგების დროს მკაცრად უნდა იქნას გათვალისწინებული სტრუქტურული ხის სწორად აგების პრონციპი, სადაც ადამიანი უნდა იყოს მორგებული თანამდებობას, და არა პირიქით.

სისტემას ასევე უნდა გააჩნდეს სტრუქტურული ხის ვიზუალიზაციის საშუალება, სადაც გამოტანილი იქნება, როგორც ერთეულს დასახელება, ასევე თანამდებობის პირის მონაცემები (მინიმუმ სახელი, გვარი, პოზიცია).

2.1.2. კადრების მართვის მოდულის ძირითადი მოქმედებები

ძირითადი მოქმედებები, რომელიც უნდა დააფიქსიროს კადრების მართვის მოდულმა, უნდა ასახავდეს სისტემაში არსებულ სტრუქტურას, ასევე მასში განხორციელებულ ყველა ცვლილებას, როგორც სტრუქტურულ ერთეულებზე, ასევე თანამშრომლებზე. ამგვარად მოქმედებები შეიძლება შეეხოს როგორც სტრუქტურულ, ასევე თანამდებობრივ ერთეულს. სტრუქტურულ ხეზე მოქმედებებს (აგება, რედაქტირება) ახორციელებს კადრების თანამშრომელი, შესაბამისი იურიდიული დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც აუცილებელია განისაზღვროს (აიტვირთოს დასკანირებული ან ტექსტური ფაილის სახით) ყოველი მოქმედების განხორციელებისას (ცხრილი 2).

ცხრილი 2

№	ოპერაციები	მახასიათებლები
სტრუქტურული ერთეულზე		
1.	შექმნა	<ul style="list-style-type: none"> • თარიღი • დასახელება • შესაბამისი დოკუმენტი
2.	გაუქმება	<ul style="list-style-type: none"> • თარიღი • დასახელება

		<ul style="list-style-type: none"> შესაბამისი დოკუმენტი
3.	შეჩერება	<ul style="list-style-type: none"> თარიღი დასახელება შესაბამისი დოკუმენტი
პიროვნებაზე		
1.	დანიშვნა	<ul style="list-style-type: none"> თარიღი თანამდებობრივი ერთეული შესაბამისი დოკუმენტი
2.	გათავისუფლება	<ul style="list-style-type: none"> თარიღი თანამდებობრივი ერთეული შესაბამისი დოკუმენტი
3.	შეჩერება*	<ul style="list-style-type: none"> თარიღი თანამდებობრივი ერთეული შესაბამისი დოკუმენტი

*მოვალეობის შეჩერების საფუძველი შეიძლება იყოს: შვებულება, მივლინება, დეკრეტული, ბიულეტენი, უვადო შვებულება და სხვა.

პიროვნების მოვალეობის შეჩერების შემთხვევაში სისტემასთან წვდომის უფლება უნდა შეიზღუდოს.

შენიშვნა: სასურველია თანამდებობრივ ერთეულზე ცვლილების ასახვა მოხდეს რედაქტირებით, ხოლო თანამშრომლის თანამდებობის ან ფუნქციონალობის ცვლილების შემთხვევაში, უნდა შეწყდეს არსებული ჩანაწერი და შეიქმნას ახალი.

ყველა თანამშრომელს გააჩნია მუშაობის დაწყების ან შეჩერების თარიღი, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ცვლილება შეიძლება შევიდეს ძალაში დოკუმენტში მითითებული თარიღიდან (განცხადებაში ან ბრძანებაში).

2.1.3. თანამშრომლის ბარათი

თანამშრომლის ბარათი იქმნება მის დანიშვნის ბრძანებასთან ერთად. აუცილებელია სისტემამ დააფიქსიროს დანიშვნის თარიღი, ხელშეკრულების ან შეთავსების შემთხვევაში კი პერიოდი.

ინფორმაცია თითოეული თანამშრომლის შესახებ უნდა მოიცავდეს სტანდარტულ ინფორმაციას მონაცემებს:

ცხრილ 3

№	ველის დასახელება	შენიშვნა
1.	პირადი მონაცემები	სახელი, გვარი, სქესი, დაბადების თარიღი, ოჯახური მდგომარეობა და ა.შ.
2.	ფოტო სურათი	ფაილის ატვირთვის და განახლების საშუალებით

3.	ოჯახური მდგომარეობა	სტატუსი და ოჯახის წევრები
4.	სამხედრო ვალდებულება და ნასამართლეობა	ადგილის და პერიოდის მითითებით
5.	სამსახურეობრივი და პირადი საკონტაქტო ინფორმაცია	ტელ., მობილური, ელ.ფოსტა და ა.შ.
6.	განათლება და ხარისხი	პერიოდი, ორგანიზაცია და მიღებული ხარისხი
7.	პიროვნების სამსახურეობრივი პოზიცია და შრომითი ისტორია	თარიღები და შესაბამისი ბრძანებები
8.	წოდება და მომატების თარიღი	დასახელება და მომატების თარიღი
9.	უნარები და პირადი მონაცემები	კომპიუტერული პროგრამების ცოდნა, უცხო ენების ცოდნა და ა.შ.
10.	გავლილი ატესტაციები და ტრენინგები	პერიოდი, ორგანიზაცია და მიღებული სერტიფიკატები
11.	პიროვნებაზე განხორციელებული ადმინისტრაციული ღონისძიებები	დასჯა/წახალისებები და თარიღები
12.	კადრებში წარმოდგენილი დოკუმენტები	შრომის წიგნაკი, CV, დიპლომის ასლი, რეკომენდაცია და ა.შ.

მონაცემების ზუსტი ჩამონათვალი მოცემულია დანართის სახით (იხ. დანართი 1).

ასევე თანამშრომელთა პირად მონაცემებში სასურველია ჩაიდოს გრაფა: აქვს თუ არა საიდუმლო ინფორმაციაზე დაშვება და რომელი კატეგორიის. აგრეთვე უნდა აისახოს თუ რა ჩინი აქვს მინიჭებული (საჯარო მოხელის ჩინი) თავისი ანაზღაურებით და დანამატით.

სისტემას უნდა შეემლოს თანამდებობრივი ბარათის ექსპორტი ან/და ბეჭდვა შემუშავებული კადრების ფურცლის ფორმატის შესაბამისად. სასურველია ასევე სამსახურეობრივი პლასტიკური ბარათის დასაბეჭდი ფორმატის გენერირება, შეთანხმებული დიზაინის შესაბამისად.

2.1.4. თანამდებობრივი ერთეულების მახასიათებლები

თანამდებობრივი ერთეული იქმნება სტრუქტურული ერთეულის შესაბამისად, მკაცრად განსაზღვრული რაოდენობითა და უფლებებით. იგი უნდა განსაზღვრავდეს თანამდებობრივი პირის ფუნქცია-მოვალეობებს, მის რანგს, ხელფასს და სამუშაო საათებს, ასევე პრივილეგიებსა (მაგ. მანქანით მომსახურება) და შესაბამის რეკვიზიტებს (მაგ. სატიტულო ბლანკი ან ბეჭედი).

ასევე სისტემა წინასწარ უნდა აფიქსირებდეს თანამდებობრივი პირის მოვალეობის შემსრულებელს და მისი არ ყოფნის შემთხვევაში (მაგ. ხანმოკლე მივლინება) მასზე დაკისრებული დავალებები გადაეწეროს მოვალეობის შემსრულებელ თანამდებობის პირს.

ინფორმაცია თანამდებობრივი ერთეულის შესახებ უნდა მოიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას (იხ. დანართი 2).

2.1.5. ახალი თანამშრომლის მიღება (მხოლოდ კანდიდატების სიის მართვა)

სანამ თანამშრომელი აისახება სტრუქტურულ ხეში, მანამდე სასურველია არსებობდეს თანამშრომლის აყვანის ხელსაწყო. კერძოდ კონკრეტულ ვაკანსიაზე, რომელიც გამოქვეყნდება ვებ გვერდზე იარსებებს სააპლიკაციო ფორმა (ე.წ. CV), რომლის შევსებაც მოხდება კანდიდატის მიერ ელექტრონულად კონტროლის პალატის ოფიციალური გვერდიდან. კანდიდატები გამოცხადებული ვაკანსიის კოდის მიხედვით დაჯგუფდებიან ერთად. კანდიდატთა სია გამოუჩდება კადრების თანამშრომელს, რომელიც მონიშნავს სასურველ პირებს. შერჩეულ კანდიდატებს დაეგზავნებათ გასაუბრებაზე მოწვევა (ან ელ. ფოსტის საშუალებით ან დასაშვებია ტელეფონით დარეკვით). გასაუბრების შემდეგ არჩეული კანდიდატი გადის რეგისტრაციას კადრების მოდულში (შეივსება დამატებითი მონაცემები) და აისახება სტრუქტურულ ხეში, როგორც თანამშრომელი.

შენიშვნა: კონკრეტულ თანამდებობებზე ვაკანსიის გამოცხადების შემთხვევაში სასურველია წინასწარ იყოს განსაზღვრული მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი (არასავალდებულო მოთხოვნა).

2.2. თანამშრომელთა დასწრების და საშვების აღრიცხვის მოდული

თანამშრომელთა დასწრება და საშვების დაშვების მოდული უნდა მიეხმოდ არსებულ დაშვების სისტემას, რომელიც დამონტაჟებულია “Card Solution” მიერ თბილისსა და ქუთაისში და იყენებს ლოკალურ კომპიუტერს. მონაცემები ინახება MS Access-ს ბაზაში.

სისტემას უნდა შეეძლოს შეადგინოს თანამშრომელთა დასწრების გრაფიკი (შესაბამის ჯგუფებზე და ინდივიდუალურად) სტრუქტურული ერთეულის შექმნის ბრძანებულების და შიდა ადმინისტრაციული განკარგულების შესაბამისად. ასევე უნდა იყოს შესაძლებლობა, კალენდარული დღესასწაულების, თანამშრომელთა შვებულების და მივლინებების ასახვის, ასევე სამუშაოზე საპატიო მიზეზებით არგამოცხადების შემთხვევაში ავტომატურად საპატიოდ ჩათვლისა.

საშვების დაშვების უფლება განისაზღვრება კონკრეტული თანამდებობრივი ერთეულის შესაბამისად. თუმცა დასაშვები უნდა იყოს გამონაკლისები, საშვის დაშვების ინდივიდუალური უფლებები, რომელიც გაიცემა შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე.

№	ველის დასახელება	შენიშვნა
1.	საშვის ნომერი	გენერირდება ავტომატურად
2.	შედგენის თარიღი	გენერირდება ავტომატურად
3.	სტუმრის სახელი	
4.	გვარი	
5.	ვინ დაუშვა საშვი	
6.	ვისთან მიდის	
7.	საბუთის ტიპი	არჩევა ჩამონათვალიდან
8.	საკონტაქტო ინფორმაცია	ტელ. მობილური ელ ფოსტა
9.	შემოსვლის დრო	
10.	შენიშვნა	
11.	გასვლის დრო	

მოდულის საშუალებით იმ თანამდებობრივ პირს, რომელსაც საშვის დაშვების უფლება აქვს (ეს უფლება განისაზღვრება სტრუქტურული ხის აგების დროს), უნდა შეეძლოს დაუშვას სტუმარზე სახელობითი ან ჯგუფური საშვი.

ასევე არსებობს სპეცსაშვები, რომელთა გაცემა გულისხმობს საიდუმლო ინფორმაციაზე დაშვების ნებართვას.

თანმშრომელთა დასწრებისა და საშვების დაშვების მოდულის საშუალებით თითოეული თანამშრომელი უნდა ხედავდეს დაგვიანებებს, საპატიო და არასაპატიო გაცდენებს, ასევე გამოყენებულ შვებულებებს.

შენიშვნა: კონტროლის პალატა ვალდებულია უზრუნველყოს საშვითა არსებული პროგრამის ხელმისაწვდომობა.

2.3. მოთხოვნები სასწავლო ცენტრის მართვის მოდულისადმი

სასწავლო ცენტრი განიხილება, როგორც დამოუკიდებელი სასწავლო კაბინეტი, რომლის დანიშნულებაც არსებული და ახალი მეთოდების, კომპიუტერული, საბუღალტრო და პროგრამების სწავლება და გამოცდების ჩატარება.

ასევე სასწავლო ცენტრის დანიშნულებაც ახალ თანამშრომელს გააცნოს მუშაობის სპეციფიკა და მეთოდოლოგია, მისცეს დაკავებული პოზიციის შესაბამისი პროფესიული ცოდნა.

სასწავლო ცენტრში ასევე შემოწმდება თანამშრომელთა სტანდარტული კომპიუტერული პროგრამების ცოდნის დონე და საჭიროებისამებრ დაენიშნებათ კურსები. ასე მაგ. აუდიტებს დაენიშნებათ კურსები საბუღალტრო პროგრამების გამოყენების, რათა ობიექტის შემოწმების დროს საჭიროების შემთხვევაში სრულად და შეუცდომლად (დამოუკიდებლად) შეძლონ ინფორმაციის ამოღება, ასევე სისტემატიურად გაიღრმავონ ცოდნა აუდიტორული მეთოდების გამოყენებაში.

ასევე ჩატარდება კურსები სამართლებრივი საკითხების ცოდნის გაღრმავებაში, აუდიტის ეთიკის კოდექსის ცოდნაში, ასევე კონსტიტუციის, საჯარო მოხელის შესახებ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების ცოდნაში.

სასწავლო ცენტრის მართვის მოდულში უნდა იგეგმებოდეს თანამშრომელთა ატესტაციები და ტრეინინგები, რაც ბმაში უნდა იყოს თანამშრომლის პორტალთან, რათა შეტყობინებების სახით აცნობოს კანდიდატებს თარიღი და დანიშნულება. ასევე დასრულების შემდეგ ინდივიდუალურად გამოაქვეყნოს შეფასების შედეგები.

სასწავლო ცენტრის მოდულის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციონალობა უნდა იყოს კითხვარების, საგამოცდო ბილეთების მომზადების ფუნქცია.

ამრიგად სასწავლო ცენტრის თანამშრომელს საშუალება უნდა ქონდეს:

1. დანიშნოს ატესტაციების და ტრეინინგების თარიღები;
2. განსაზღვროს დასწრების რეჟიმი (სავალდებულოა, თუ არა);
3. განსაზღვროს გამოცდის ან ატესტაციის, ასევე ტრეინინგის ჩატარების ხანგრძლივობა;
4. ელექტრონულად მოამზადოს ბილეთები, ტესტები და მათი შეფასების კრიტერიუმები (რეიტინგები);
5. ავტომატურად წაიკითხოს და დააჯამოს პასუხები;
6. მართოს სასწავლო კლასის დატვირთვის კალენდარი;
7. თუ კურსები სავალდებულო არ არის, მაშინ თანამშრომლებს უნდა ქონდეთ საშუალება უპასუხონ შეთავაზებას, აირჩიონ გრაფიკი, რათა გაადვილდეს სასწავლო ჯგუფის დაკომპლექტება.
8. აღრიცხოს დასწრების ჟურნალი და აფიქსიროს გაცდენა, დაგვიანება (გაცდენის შემთხვევაში საშუალება უნდა იყოს გადაამოწმოს კადრების მართვის სისტემაში საპატიოა თუ არა გაცდენა);
9. სტაჟიორების ან პრეტენდენტებისათვის სასურველია სისტემაში შეიქმნას შეზღუდული უფლებების მომხმარებელი, რომლის რეგისტრაციისას შესაძლებლობა იქნება პიროვნების რეზერვში ჩაეწერა.

2.4. თანამშრომელთა მიერ ნამუშევარი დროის აღრიცხვის მოდული (მხოლოდ აუდიტორებისთვის)

საქართველოს კონტროლის პალატისთვის მნიშვნელოვანია ჩასატარებელი აუდიტის პროცესის ვადების დაგეგმვა და იმ ადამიანური რესურსების მობილიზება, რომლებიც საჭიროა დაგეგმილი აუდიტის ჩასატარებლად. აღნიშნულის შესაბამისად დაგეგმვის პროცესს მნიშვნელოვნად ზუსტს გახდის სტატისტიკური ინფორმაციის ქონა, თუ რამდენი საათი ჭირდება საშუალოდ ამა თუ იმ პროცედურებს, რომლებიც მთლიანობაში შეადგენენ მთლიან აუდიტის პროცესს.

მენეჯმენტისთვის ასევე მნიშვნელოვანია თანამშრომლების მიმდინარე მონიტორინგი და იმის კონტროლი თუ რომელ საქმიანობებზე იხარჯება არსებული შეზღუდული ადამიანური რესურსები.

გამომდინარე ზემოთთქმულიდან საჭიროა „დროის აღრიცხვის მოდული“, რომლის საშუალებითაც აღირიცხება თუ რა საქმიანობაზე დახარჯა დრო თითოეულმა აუდიტორმა.

წინასწარ დგება კალენდარული გეგმა, სადაც კოდების მიხედვით გაწერილია ობიექტის ან საქმიანობის დასახელება და პერიოდი (დასაწყისი და დასასრული). ხანგრძლივობის ცვლილება, ასევე ახალი ობიექტის ან სამუშაოს დამატება სისტემაში უნდა განხორციელდეს ცენტრალიზირებულად, ადმინისტრატორის მეშვეობით.

ყოველი სამუშაო კვირის ბოლო დღეს თითოეულმა აუდიტორმა უნდა მოძებნოს და ჩაწეროს თითოეულ სამუშაოზე მის მიერ დახარჯული დრო.

დროის აღრიცხვის ცხრილი უნდა მოიცავდეს შემდეგს:

ცხრილ 5

№	ველის დასახელება	ზოგადი აღწერა
1.	აუდიტორის სახელი გვარი	ივსება ავტომატურად
2.	თარიღი	არჩეული დღის შესაბამისი
3.	სამუშაოს კოდი	არჩევითი (უნდა იყოს ძეგნის საშუალება)
4.	დასახელება	არჩევითი (უნდა იყოს ძეგნის საშუალება)
5.	დახარჯული საათები	იწერება ხელით
6.	დღის ჯამური დრო	ჯამდება ავტომატურად (ჯამურად კვირაში არანაკლებ 40 საათი)
7.	შენიშვნა	ტექსტური ფანჯარა, სადაც იწერება დამატებითი ინფორმაცია (არასავალდებულო)

